დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 20-საათიან (10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 26-საათიან (14 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1430 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 1010 ლარი თვეში.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, პროფესორისათვის სავალდებულო კვირაში 12-საათიან (6 საათი სააუდიტორიო, 6 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 16-საათიან (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო 22-საათიან (12 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო) დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო

გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1430 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1130 ლარი;
გ) ასისტენტ - პროფესორი 830 ლარი თვეში.

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი 600 ლარი თვეში.

4. წინამდებარე დანართის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორი - თვეში 150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 120 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 100 ლარი.